სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 3 22 0001378942

31/10/2022

2022 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სასწავლო განრიგის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ,,2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 05 აპრილის MES 3 22 0000353012 ბრძანების, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლა დაიწყოს 2022 წლის 08 ნოემბერს.
2. სწავლება და შეფასება განხორციელდეს სასწავლო გეგმისა და მოდულების მიხედვით.
3. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს ედიშერ კვესიტაძეს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.

6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი